15-ს აგვისტოსს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

მწყემსი

№ 16.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის" რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мицкемси" (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდად ზომიერ ფასად. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ, ᲣᲗᲣᲗᲣ ᲒᲠᲪᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲗ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲬᲔᲚᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲜᲘ.

ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲚᲡ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ, ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲮᲐᲜ-ᲓᲘᲡ-ᲮᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲜ. ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲗᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲣᲙᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲐᲑᲔ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ, ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲜᲘᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲣᲤᲚᲘᲡ.—ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ.—ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.—ᲮᲡᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲙᲐᲢᲘᲡᲐ.—ᲡᲡᲚᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲒᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.—ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ IX.—ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲤᲐᲥᲢᲘ.—ᲮᲝᲛᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲬᲛᲐᲮᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ.—ᲬᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ.—ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ.—ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲣᲚᲘ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲐ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐ.

27 იანვრიდგან—12 ივლისიდგან 1884 წლისა № 1407 უმაღლესად დამტკიცებულს საეკლესიო-სამრევლო კანონებზე.

Ѡ ქალაქისა-ᲛᲔᲑᲠ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲛᲐ ᲡᲘᲜᲝᲓᲛᲐ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ: წინადადება უ. სინოდალნის ობერ-პროკურორისა, 21 ივნისიდგან 1884 წლისა № 2335, რომელსა შინა აღსნის, რომ აღსასრულებლად უწმიდესი სინოდის განჩინებისა მას ჰქონდა ბედნიერება მიექცია უმაღლესი მისი იმპერატორებითის დიდებულების უურადღება უწმიდესის სინოდისაგან შედგენილს საეკლესიო-სამრევლო სკოლათა წესდებაზე და გამოეთხოვა უმაღლესი ნებართვა ამ კანონთა მოქმედებაში მოყვანისათვის ოთხელს ეპარქიებში გარდა რიჟსკის ეპარხიისა და აგრეთვე დიდის ფინლიანდიის სამთავროისა, რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება 13 დღესა ამა წლის ივნისის თვისასა ამა წესდებათა დამტკიცება. ამასთანავე მისმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება, უქვეშევრდომილეს ამ სჯნის შესახებ წარდგინებაზე, საკუ-

თარის ხელით დაწერა: „იმედი მაქვს, რომ სამრევლო სამღვდელოება აღმოჩნდება ღირსეული თავის დიდის მოწოდებისა ამ დიდ საქმესა შინა.“ ვბრძანეთ: თვითმპყრობელი ნება საყვარელი ხელმწიფისა მოაგონებს ეხლა მართლ-მადიდებელ სამღვდელოებას, დადგენილს მას ზედა მისი წოდებისაგან, სწავლებითს ვალს განსანათლებლად ხალხთა ჭეშმარიტსა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას და კეთილმსახურებასა შინა. ხელმწიფის სიტყვამ, მიქცეულმა ეკკლესიის მწყემსთა და მოძღვართადმი უნდა აღძრას და განამხნეოს სამღვდელოება, რომ ბეჯითად და მუყიათად მსახურებდენ სამღვდელო წოდებაში, რომ მათ ერთად შეერთებული მათი შრომითა და თვისი ცხოვრების მაგალითითა აღზარდონ ყრმებში შიში ღვთისა, გარდასცენ მათ ცოდნა სარწმუნოებისა, შთანერგონ გულთა შინა მათთა სიყვარული წმიდისა ეკკლესიისა და ერთგულება მეფისა და მამულისა. ვგზავნით რა ამასთანავე აღსასრულებლად დამტკიცებულს საეკკლესიო-სამრევლო სკოლების წესდებათა, უწმიდესი სინოდი ეპარქიის არქიერებზე განსაკუთრებითს მზრუნველობას ვალად დასდებს, არსებულის სკოლების შენახვაზე და მმართვაზე, აგრეთვე შეძლებისა და გვარად, ახალ საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა გახსნაზე იმისთანა ადგილებში, სადაც არც ერთი სკოლა და სასწავლებელი არ არსებობს, ამასთანავე უნდა იზრუნონ არა მარტო სკოლების განმრავლებაზე, არამედ მაზე, რომ სწავლება ყველგან, სადაცა არიან სკოლები, მიდიოდეს მუყიათად და კანონიერად. იმა ადგილებში, სადაც უკვე არიან დაარსებულნი სამოქალაქო უწყებისაგან სკოლები და არ შედიან სამრევლო-სკოლების რიცხვში, სამღვდელოებამ უნდა გახსნას თავისი სკოლები, მაგრამ არა წინ-და-წინ მოულაპარაკებლად მღვდელ-მთავრისა სათანადო მთავრობასთან, ვინაიდგან სრული წარმატებისათვის ხალხის განათლების საქმისა საჭიროა ერთსულობა ყოველთა პირთა და დაწესებულებათა შორის, რომელნიც მოწოდებულნი არიან ამ საქმის სამსახურებლად. საეკკლესიო-სამრევლო ხკოლების გამგებლებათ უნდა იქმნენ დანიშნულნი უმეტესად იმ მღვდლებთაგან, რომელნიც შესანიშნავნი არიან ერთგულებითა და გამოცდილებითა მასწავლებლობის საქმეში და პირველ დაწყებით საგნების სწავლებაში. მღვდელ-მთავართა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ამ საქმეზე განათლებულნი და კეთილ-მსახურნი პირნი ერის-კაცთაგანიც მიიმხრონ, განსაკუთრებით ცნობილნი წინეთ ერთგულებითა სამრევლო-საეკკლესიო სკოლების დაარსების საქმეში და რომელთაც შეუძლიანთ თავისი პირადი შრომით, მზრუნველობით ანუ ნივთიერი შემწეობით დახმარების აღმოჩენა. საეპარქიო რჩევის შრომაში მონაწილეობის მიღებით და სკოლების თვალ-ყურის დევნით კეთილ-მსახურთა და ეკკლესიის ერთგულთა პირთა შეუძლიათ შეეწიონ სამღვდელოებას იმ საქმის შესრულებაში, რომელიც მათზეა ვალად დადებულია. უწმიდეს სინოდს იმედი აქვს, რომ მწყემსთ-მთავარნი სრულიად რუსეთის ეკკლესიისანი კეთილ-მოწიწებით და სიყვარულობით მიიღებენ შრომას სახალხო სკოლებში ეკკლესიური პირველ-დაწყებითი კეთილ-მსახურებითი განათლების დამყარებაზე, რომ მღვდელნი იხელმძღვანელებენ მეშვიდე მსოფლიო კრების მეათე კანონითა და მოიგონებენ ყოველთვის, რომ მათ „უმეტესად ეკუთვნის სწავლება ყრმათა, საღმრთო წერილების კითხვით, ვინაიდგან მათ ამისთვის მიიღეს მღვდელობაცა,“ და, რომ საზოგადოდ ყველა წევრნი

კრებულისა თავის მსახურებითა შემლებისა და გვარად ხალხის განათლებაზე გაამართლებენ იმ დიდ რწმუნებას მართლ-მადიდებელ სამღვდელოთადმი, რომლისაც ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება გამოთქმა დამტკიცების დროს ეხლანდელ წესდებათა. მოუწოდებთ რა უფლის კურთხევასა ყოველთა მშრომელთა და მასწავლებელთა საეკკლესიო სამრევლო სკოლათა შინა, უწმიდეს სინოდს იმედი აქვს, რომ ეს სკოლები იქმნებიან ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი განათლების დამაფუძნებელნი მართლ-მადიდებელ ხალხთა შორის.

ნამდვილსა ზედა საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით დაწერილია:

«გამტკიცებ»

პეტერგოფში,
13 ივნისს 1884 წელსა.

წესდებანი

საეკკლესიო-სამრევლო სკოლათათვის.

§ 1. საეკკლესიო-სამრევლო სკოლებად იწოდებიან პირველ დაწყებითი სასწავლებელნი, რომელთაც ხსნის ხოლმე მართლ-მადიდებელი სამღვდელოება. ამ სკოლებს მიზნად აქვსთ განამტკიცონ ხალხში ჭეშმარიტი სწავლა მართლ-მადიდებელი სარწმუნოების და ქრისტიანული ზნეობისა და მისცენ მასს პირველ დაწყებითი სასარგებლო ცოდნანი.

§ 2. საეკკლესიო-სამრევლო სკოლები გაიხსნებიან მრევლის მღვდელთაგან, ანუ, მათის თანხმობით, სხვა კრებულთა წევრთაგან, ადგილობით მრევლის საშუალებით, შეუწევნელად ანუ სოფლის და ქალაქის საზოგადოებათა შეწევნით, სამრევლო სამზრუნველოთა და ძმობათა, საერო და სხვა საზოგადოების და კერძო დაწესებულებათა და პირთა ეპარხიალურის და უმაღლესის სას. მთავრობისა, და აგრეთვე ხაზინის დახმარებით.

§ 3. საეკკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნაზე მღვდლები მოახსენებენ ბლაღოჩინების პირით ეპარქიის არქიერს და გამოითხოვენ მისგან კურთხევას და დამტკიცებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ახალს საეკკლესიო - სამრევლო სკოლების გახსნაზე მღვდლები შეატყობინებენ ხოლმე ბლაღოჩინების საშუალებით მაზრის სამასწავლებლო რჩევათა, ხოლო სადაც ისინი არ არსებობენ, სამასწავლებლო უწყების თანამდებობის პირთა, სახალხო სკოლების გამგეთა.

§ 4. საეკკლესიო-სამრევლო სკოლები, იხურებიან — ანუ გადადიან სხვა უწყებაში მხოლოდ ეპარქიის არქიერის ნებართვით.

§ 5. საეკკლესიო-სამრევლო სკოლანი შეიძლება იყონ ერთ კლასიანი ორი წლის და ორ კლასიანი ოთხი წლის კურსით. მათ შინა ასწავლიან: 1) სამღრთო სჯულს (და სახელდობრ:) ა) ლოცვებს; ბ) სამღრთო ისტორიას და ღვთის მსახურების აღხსნას; გ) მოკლე კატეხიზმოს; 2) საეკკლესიო გალობას; 3) ხუცური და მხედრული ნაბეჭდის კითხვას და წერას; 4) პირველ დაწყებითი ცნობათა არითმეტიკისაგან. ორ კლასიან სკოლებში, გარდა ამისა, ასწავლიან პირველ დაწყებით ცნობათა საეკკლესიო და სამშობლო ისტორიიდგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სივრცე ამა საგანთა სწავლებისა და განაწილება მათი სხვა-და-სხვა სკოლათა შინა სდგინდებიან უწმიდეს სინოდში განსაკუთრებით დამტკიცებული პროგრამებითა. ამასთან დაცული უნდა იქმნეს, რომ ერთ კლასიან სკოლაში რიცხვი სასწავლო საგანთა იყოს არა ნაკლები იმაზე, რაც დაწესებულია სახალხო პირველ დაწყებითი სკოლების დებულობითა, გამოცემულის 25 მაისს 1874 წ.

§ 6. სასულიერო მთავრობის უწყებას და ზედამხედველობას ექვემდებარებიან აგრეთვე შინაურნი საგლეხო წერა-კითხვის სკოლანი, რომელნიც იხსენებიან სამრევლოზე მიწერილ სოფლებში.

§ 7. საჭიროებისა და საშუალებისა მებრ ნება ეძლევათ გახსნან, მღვდელ მთავრის ნება დართვით, საეკკლესიო-სამრევლო სკოლებთან: ა) დამატებითი კლასები ერთ კლასიანი და ორ

კლასიანი სკოლების საგნების სასწავლოდ; ბ) ყოველ დღიური გაკვეთილები მოზდილთათვის; გ) განსაკუთრებითი სახელოსნო განყოფილებანი და ხელ-საქმნარო კლასები და დ) საკვირაო სკოლები იმ პირთათვის, ვისაც არ შეუძლია ყოველ დღე სკოლაში მოსვლა.

შენიშვნა. გაკვეთილების მიცემა მოზდილთა პირთა და საკვირაო სკოლებას გახსნა შეუძლიათ მდვდელთა იქაც, სადაც არ არიან საეკლესიო-სამრევლო სკოლები.

§ 8. სწავლა საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლებში მოზდილთა პირთათვის გაკველითების მიცემის დროს და დამატებითი კლასებში სწარმოებს იმ სახელმძღვანელოებათა, სასწავლო საშუალებათა და საზოგადოდ წიგნთა საშუალებით, რომელნიც ნაჩვენებნი არიან უწმიდესი სინოდისაგან. ხსენებულ სკოლებში, საშუალებისა მებრ, არსდებიან სამასწავლებლო და სამოსწავლო წიგნთ საცავნი.

§ 9. სამრევლო სკოლებმა მხარ-და-მხარ ეკლესიასთან უნდა შთაგონონ ბავშთა სიყვარული ეკლესიისა და ღვთის მსახურებისადმი, რათამცა ეკლესიაში სიარული და ღვთის მსახურებაზე დასწრება შეიქმნეს ჩვეულებად და მოსწავლეთა გულის მოთხოვნილებად. კვირა უქმე დღეებში მოსწავლენი უნდა ესწრებოდენ ღვთის მსახურებაზე, ხოლო ნიჭიერნი, ჯეროვანის მომზადების შემდეგ, უნდა იღებდნენ მონაწილეობას ეკლესიურ კითხვასა და გალობაში. ყოველ დღიური სწავლება იწყებიან და თავდებიან ლოცვითა.

§ 10. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ასწავლიან ადგილობითი მღვდელნი, ანუ სხვა წევრნი კრებულისა, ერთი-ერთის თანხმობით. აგრეთვე განსაკუთრებით დანიშნულნი პირნი ამ თანამდებობაზე, დამტკიცებით ეპარხიის არქიერისა, მასწავლებელნი ორისავე სქესისანი, მღვდლის მხედველობის ქვეშე.

§ 11. შთაგონება სარწმუნოების კანონთა და გარდაცემა სამღრთო სჯულისა შეადგენს მღვდლის პირ-და-პირ მოვალეობას. თუ კრებულში არის დიაკონი, მაშინ სამღრთო სჯულის სწავლება შეიძლება მიემდოს იმასაც. სხვა გვარ შემთხვევაში, მღვდელ მთავრის ნება დართვით, სამღრთო სჯულის სწავლება შეიძლება მიენდოს კრებულის წევრთა, ანუ კეთილ საიმედო მასწავლებელს, კრებულთაგანიც რომ არ იყოს.

§ 12. სამასწავლებლო თანამდებობათა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში იჭერენ განსაკუთრებით ის პირნი, რომელთაც მიუღიათ განათლება სასულიერო სასწავლებლებში და სასულიერო უწყების საქალო სკოლებში.

§ 13. საეკლესიო-სამრევლო სკოლების ერის გაცთაგანი მასწავლებელნი, რომელთაც აქვსთ პირველ დაწყებითი სახალხო სკოლის მასწავლებლის წოდება, სარგებლობენ ყველა ამ წოდებისადმი მინიჭებული უფლებაებით.

§ 14. ეგზამენები იმ მოწაფეთა, რომელნიც კურს ათავებენ საეკლესიო სკოლებში, მისადებლად მოწმობათა, რომელნიც ანიჭებენ (льготы) სამხედრო სამსახურის მე IV რიგის უფლებეებს, სწარმოებენ საფუძველსა ზედა პირველ დაწყებითი სკოლებისთვის საზოგადო დადგენილ წესდებათა.

§ 15. საეკლესიო-სამრევლო სკოლის თავის ხარჯით დამაარსებელ პირს შეიძლება ამ სკოლის მზრუნველის წოდება დაუმტკიცდეს ეპარქიის არქიერის მიერ.

§ 16. პირნი, რომელთაც გამოიჩინეს განსაკუთრებით ერთგულობა სახალხო მართლ-მადიდებელი ეკლესიის შესაბამი განათლების გავრცელებაში, მტკიცდებიან უწმიდესი სინოდისაგან საპატიო საეკლესიო-სამრევლო სკოლათა მზრუნველებად ერთისა ანუ რაოდენიმე საბლოჩინო ოლქთა.

§ 17. საპატიო მზრუნველნი საეკლესიო-სამრევლო სკოლათა ყოველივე მათის მხრით შესაძლებელი საშუალებითა ხელს უმართვენ ადგილობრივ სამდვდელოებას ყოველ გვარ კეთილ დაწყებითი განზრახულებაში შესახებ ხალხის საეკლესიო მართლ-მადიდებელი განათლებისა. თავის წოდებისა-მებრ, ისინი ირიცხებიან საეკლესიო-სამრევლო სკოლების საეპარქიო რჩევის წევრებად, და, ამას გარდა, აქვსთ უფლება პირ-და-პირ იშუამდგომლონ მათდამი რწმენებულ საეკლესიო-სამრევლო სკოლათა საჭიროებაებზე, როგორც ადგილობრივ ეპარქიის მთავრობის წინაშე, აგრეთვე უმაღლეს სასულიერო მთავრობასთან.

§ 18. საპატიო მზრუნველთა, ამ დაწესების წარმომადგენელთა, რომელთა შემწეობით სარგებლობენ საეკლესიო-სამრევლო სკოლები და კერძო კეთილის მოქმედთა, შემწირველთა სკოლების სასარგებლოდ, და აგრეთვე თა-

ვად-აზნაურთ წინამძღოლთა და სამასწავლებლო ინსპექციის წევრთა შეუძლიათ დახედონ სკოლები, მაგრამ არ შეუძლიათ, რომ თავისით მოახდინონ რამე განკარგულება, ანუ შთაგონება მასწავლებლისა დახედვის დროს. ყველაფერს, რასაც ნახვენ და შენიშვნენ ისინი, აცნობინებენ სკოლის ხელმძღვანელ პირს და საჭიროების დროს წარუდგენენ ეპარქიის არქიერსა.

§ 19. პირ-და-პირი და პასუხის საგებელი მმართვა საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა ვალად სძევთ (იხ. § 7) მრევლის მღვდელთა, ანუ იმ პირთა, რომელნიც განსაკუთრებულ შემთხვევაში დანიშნულ იქმნებიან ამისათვის ეპარქიის არქიერისაგან, რომელსაც ეკუთვნის საზოგადო გამგეობა საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა ეპარქიაში და მზრუნველობა მათ კეთილ-წარმატებაზე.

§ 20. ეპარქიის არქიერის მოვალეობას შეადგენს:

ა) დამტკიცება თანამდებობაზე და დათხოვნა საღმრთო სჯულის მასწავლებელთა, ორსავე სქესისა მასწავლებელთა საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა;

ბ) წახალისება უმეტეს ბეჯითთა მღვდელთა და მასწავლებელთა;

გ) დახედვა სკოლათა ეპარქიის რევიზიის დროს;

და დ) წარდგინება უწმიდეს სინოდში ყოველ წლობით საეკკლესიო სამრევლო ეპარქიის სკოლათა მდგომარეობაზე ანგარიშისა.

§ 21. საეკკლესიო სამრევლო სკოლების სამართავად ეპარქიის მღვდელ-მთავრები დანიშნავენ, თავის შეხედულებისა და გამორჩევისა-მებრ, უფრო ნიჭიერთა და კეთილ-საიმედო მღვდელთა ყურის მგდებელთა, რომელნიც ვალდებულნი არიან ყოველ წლობით წარუდგინონ მღვდელ-მთავართა ანგარიში მათ ხელმძღვანელობაზე მინდობილის სამასწავლებლო ოლქის სკოლების რიცხვზე და მდგომარეობაზე. ცნობანი ამ ანგარიშთაგან იბეჭდებიან ადგილობრივ ეპარქიულ უწყებებში.

§ 22. საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა შესახები კითხვების და საქმეების გასარჩევად ყოველს ეპარქიაში წესდება ეპარქიალური სამასწავლებლო რჩევა. თავმჯდომარე და წევრნი რჩევისა გამოირჩევიან ეპარქიის არქიერის მიერ სასულიერო და საერო პირთაგან, რომელნიც ერთგულნი არიან სახალხო განათლების საქმისა და დაახლოებით იციან ხალხის ყოფა-ცხოვრება და სულერი მოთხოვნილებანი. ამ რჩევის სხდომებზე იწვევენ, წევრის უფლებით, სახალხო სკოლების ადგილობრივ დირექტორს. სამასწავლებლო რჩევა იხილავს მღვდელთა-გამგებელთაგან წარმოდგენილ ანგარიშებს და წარუდგენს ეპარქიის არქიერს თავიანთ მოსაზრებათა შესახებ ზომებისა, რომლითაც შეუძლიათ ხელი მოუმართონ ხალხში ისეთ განათლებას, რომელიც ეთანხმება მართლ-მადიდებელი ეკლესიის მიმართულებას და ხასიათს.

შენიშვნა. იმ ეპარქიებში, სადაც არსებობს ეპარქიალური საეკკლესიო ძმობა, მმართველი საეკკლესიო - სამრევლო სკოლათა, ნებისა მებრ ადგილობრივი არქიერისა, შეიძლება ამ გვარის ძმობის რჩევას მიენიჭოს ეპარქიალური სამასწავლებლო რჩევის უფლებანი.

§ 23. უმაღლესი მმართველობა ყველა საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა და განკარგულება მათ შესანახავად დანიშნულ ფულების ჯამთა ეკუთნის უწმიდესს წინოდს, რომელმაც განსამარტებად აწინდელ წესდებათა უნდა გამოსცეს განსაკუთრებითი დადგენილობანი.

ნამდვილ წესდებაებზე ხელმოწერილნი არიან:

ისიდორე, მიტროპოლიტი ნოვგოროდისა და ს.-პეტერბურღისა.

საბბა, არხიეპისკოპოსი ტვერისა და კაშინისა.

იონათანი, არხიეპისკოპოსი იაროსლავისა და როსტოვისა.

ვამოწმებ: ობერ-სეკრეტარი ალექსი პოლონსკი.

არა ოფიციალური ნაწილი.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების ახალ წესდებათა გამოცემის გამო.

Gამეტი ივნისი ამა წლისა შესანიშნავი დღეა მთელს რუსეთის იმპერიაში. ამ დღეს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება ახალი საეკლესიო სამრევლო სკოლების წესდებათა დამტკიცება და მიანიჭა სამღვდელოებას ის უფლება, რომელსაც ის, დიდი ხანია, მოკლებული იყო. სწორეთ შესანიშნავი დღეა ეს დღე მთელი სამღვდელოებისათვის. ამ კანონებით სამღვდელოებას დიდი მოვალეობა ედება კისერზე. მას ვალად ედება მდაბალ ხალხში გაავრცელოს პირველ დაწყებითი რელიგიური და კეთილ ზნეობრივი სწავლა. საეკლესიო სამრევლო სკოლები, დიდი ხანია, რაც არსებობენ და პირველი შემოღება კი არ არის. ვიდრემდის სახალხო განათლების მინისტრისაგან სახალხო სკოლები გაიმართებოდა, საეკლესიო-სამრევლო სკოლები არსებობდნენ და არა ერთი ათასი. სამღვდელოება თუმცა თავის შრომის ფასს არ იღებდა ამ სკოლების შენახვისა და სწავლებისათვის, მაგრამ ძლიერ მუყიათად და ერთგულად მიჰყავდა მასს თავისი საქმე.

Kანსვენებული ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორის მეფობის დრო განსხვავებული იყო სხვა ხელმწიფების მეფობის დროისაგან. Oცდა ხუთი წელიწადი მისი მეფობის დრო სულ სხვა-და-სხვა რეფორმების შემოღების დრო იყო. ბევრი რამე ახალი ცვლილება და წესი შემოიღო მან თავის სახელმწიფო ხალხის საკეთილ დღეოდ; მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრით ხალხმა ვერ ისარგებლა, ანუ არ მოიხმარა რიგიანად. ზოგიერთმა ახალმა წესმა და რეფორმამ ნაცელად სარგებლობისა ზარალი მოიტანა და, თუ საზარალო არ იყო ბევრი, სასარგებლო მაინც არ გამოდგა, რადგან ხალხი ამ ცვლილებას მომზადებული არ დახვდა. დიდი რყევა და ბაასი ადგა იმაზე, თუ ვის უნდა მინდობოდა გამგეობა პირველ დაწყებითი სახალხო სკოლებისა. ვეღარ ემდვენ სამღვდელოებას. ჩამოართვეს მასს ყოველი უფლება პირველ დაწყებით სახალხო და სამრევლო სკოლებში. იყო დრო, როდესაც ფიქრობდნენ, რომ პირველ დაწყებითი სახალხო სკოლების გამგეობა მიენიჭებიათ გუბერნიების და მაზრების აზნაურთა წინამძღოლთათვის, მაგრამ ბოლოს ვერც ამ აზრმა გაიმარჯვა. დაარსეს სახალხო სკოლები, მაგრამ მასწავლებელნი აღარ აღმოსჩნდენ. ამიტომ დაარსეს სამასწავლებლო სემინარიები, რომლებშიაც ახალგაზდა მოსწავლენი სწავლობდნენ და დღესაც სწავლობენ სპეციალურად პედაგოგიას. პირველად, მართალია, ეგონათ, რომ ათი წლის განმავლობაში ყოველ სოფელში გაიხსნებოდა სკოლები და წერა კითხვის უკოდინარ კაცს ვეღარ ნახავდნენ, მაგრამ ეს აზრი ძლიერ შორს დარჩათ. ნამეტანი ნაწილი საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა გადაკეთეს სახალხო სკოლებად და სწავლა სულ სხვა ჩარხზე დატრიალდა; მთავრობაც და ხალხიც ბევრს რამეს მოელოდა ამ სკოლებიდამ, მაგრამ შორს დარჩათ თავიანთი აზრი და მოლოდინი არ გაუმართლდათ. ჩვენში მაინც, რომ სთქვას კაცმა, ეხლანდელი სახალხო სკოლები ვერ აძლევენ გლეხობას რიგიანად მომზადებულ შვილებს.

Sამღვდელოებას, როგორც წინეთა ვსთქვით, ჩამოერთვა უფლება დაბალი სკოლების გამგეობისა; იმას დღემდის არ შეეძლო სკოლის გახსნა ნება დაურთველად სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორებისა. Oუმცა ამ ბოლოს დროს კი ეძლეოდა ნება სამღვდელოებას სამრევლო სკოლების გახსნისა ეპისკოპოზისაგან, მაგრამ ეს სკოლები მაინც პირ-და-პირ დამოკიდებულნი იყვნენ ამ დირექტორებზე და მათ აძლევდნენ ყოველ შემთხვევაში ანგარიშს,.. სიტყვით ადვილი წარმოსადგენია ანგარიშის მიცემა სამღვდელოებისაგან დირექტორებზე, მაგრამ საქმით ძლიერ საძნელო იყო. სახალხო სკოლების დირექტორები და ინსპექტორები ყოველთვის თავის სკოლებზე ზრუნავდნენ და სამრევლო სკოლებზე ძლიერ ცოტას ფიქრობდნენ; ზოგან ამ სკოლების დაკეტვას გულით ცდილობდნენ. ჩვენ ხელში გვაქვს ერთი შესანიშნავი ქაღალდი, მიწერილი გუბერნატორისაგან ერთ ეპისკოპოზზედ, რომელსაც სამრევლო სკოლების დახურვას უბრძანებდა გუბერნატორი. ძარგი, რომ ეს ეპისკოპოსი მარჯვეთ მოჰყვა ხელში ამ გუბერნატორს, თორემ მასს ყველა სამრევლო სკოლებს დაახურვინებდა!...

Cი ამისთანა დღე ადგა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს დღემდისინ, მაგრამ დღეს, მადლობა Oმერთსა, ეს შემცდარი აზრი სამღვდელოებაზე მოისპო; დღეს უმაღლესმა მართებლობამ ისევე მიანიჭა სამღვდელოებას სამრევლო სკოლების გახსნისა და მათი გამგეობის უფლება. ამ სკოლების მართვაზე სასულიერო წოდება არც დირექტორებს და არც მათ ინსპექტორებს ანგარიშს არ მისცემს. მათ თვი-

თონ ეყოლებათ თავისი დირექტორები და მზურნველები. ეს ახალი წესდებანი მთელს რუსეთის იმპერიაში იმოქმედებენ, გარდა ფინლიანდიის მხარისა და რიგის ეპარხიისა. ამ კანონებთა გამოცემას დიდის სიხარულით მიეგებება მთელი სამღვდელოება, მაგრამ აქ არ შეგეიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ზოგიერთი მიზეზები, რომელნიც ძლიერ დაბრკოლებენ სამღვდელოებას საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენს საქართველოს სამღვდელოებას საეკლესიო სამრევლო სკოლების საქმის რიგიანად წაყვანაში. მეტის-მეტად დაბრკოლებს ყველა სამღვდელოებას ამ დიდი საქმის აღსრულებაში და წაყვანაში გაჭირვებული ნივთიერი მათი მდგომარეობა. ვიდრემდის მღვდელს თავისი ფიქრი და აზრი მიმართული ექნება ლუკმა პურის შოვნაზე, ის სკოლების საქმეს ვერ წაიყვანს რიგიანად და ვერ განაგებს. მაშა სადამე პირველი ყურადღება მართებლობამ სამღვდელოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს უნდა მიაქციოს უთუოდ, თუ უნდათ, რომ სამღვდელოებამ გაიკეთოს რამე.

ჯოგორც სჩანს წესდებათაგან სამღვდელოებას ეყოლება თავისი სკოლების ზედამხედველები, გამგეები და მზრუნველები. ამასთან იქმნება საეპარხიო სამასწავლებლო რჩევაც დაარსებული, მაგრამ ამ პირთა ჯამაგირზე სრულებით არაფერი არის ნათქვამი. თუ მართლა მათ არაფერი სასყიდელი არ ექმნებათ დანიშნული, ჩვენის აზრით, ამისთანა სამღვდელოების მდგომარეობასთან სკოლების საქმე თავის დროში არ წავა რიგიანად. ეს მიზეზები საზოგადო მიზეზებია ყველა სამღვდელოებისათვის.

ჯაგრამ ჩვენ საქართველოს სამღვდელოებას წინ უხვდება ერთი დიდი მიზეზი, რომელიც ამ სკოლებს არა ვითარ ნაყოფს არ გამოაღებინებს და ნაყოფის მაგიერ დიდ ზარალსაც მოუტანს ხალხს ამისთანა სკოლების დაარსება. მართებლობას სამრევლო სკოლებით სურს ხალხში გაავრცელოს უმთავრესად პირველ დაწყებითი რელიგიური და ზნეობრივი სწავლა, წერა-კითხვა, ოთხი მოქმედება არითმეტიკიდამ და ცოტაოდენი სწავლა ბუნების მეცნიერებისაგან. სხვა მიზანი ამ სკოლებს არ აქვს და არც უნდა ჰქონდესთ. თუ ეს სკოლები ამ მიზანს გარდახდნენ, ისინი მოსალოდნელ სარგებლობას ვერ მოიტანენ. მაშა სადამე ჩვენ მხარეში სწავლება ამ სკოლებში პირ-და-პირ დედა ენაზე უნდა იყვეს. თუ უმაღლეს მართებლობას ჩვენი მხარე ამ შემთხვევაში სახეში არ ჰქონებია, მიუცილებლად საჭიროა, რომ ეხლავე შეუდგეს საქმეს ჩვენი ადგილობითი სასულიერო მართებლობა და იშუამდგომლოს, რომ საქართველოში სამრევლო სკოლებში სწავლება დედა ენაზე იყოს. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხალხში რელიგიური და ზნეობრივი სწავლა, გავრცელების მაგიერ, უფრო დაეცემა და ეს მშვენიერი მართებლობის განკარგულება და მოქმედება უნაყოფოდ დარჩება. ეს საგანი იმდენად საყურადღებო და დიდ მნიშვნელობიანი არის, რომ ჩვენ ამაზე შემდეგშიაც მოველაპარაკებით მკითხველებს.

დეკანოზს მ. რაჭდენ ზიგაუროვს.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ პატარა შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ „მწყემს"-ში.

ჯე ამას წინეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოესთქვი ის აზრი, რომ ჩვენი სამღვდელოება, ზოგი მოუმზადებლობისა და ზოგი დაუდეგნელობისა გამო, ქადაგებითი სიტყვას ყურადღებას არ აქცევს მეთქი. ამასთან ვამბობდი, რომ, ჩემი აზრით, კარგი იქმნებოდა, ყურადღებას მიაქცევდნენ ამ ანორმალურს მოვლენას და ვალად დაუდებდნენ სამღვდელოებას, ვისაც კი განათლება და შეძლებაც ნებას აძლევს, რომ ქადაგებითი სიტყვას ყურადღება მიაქციონ მეთქი. ჩემი აზრი ეს იყო და სახეში სრულებითაც არა მქონდა ვისმეს პირადათ შეეხებოდი. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ ჩემმა წერილმა გამოიწვია საპასუხოდ დეკ. მ. რაჭდენ ზიგაუროვი, რომელიც თავის პასუხში მთელ სამღვდელოებას ეკრძალება და ნამეტურ კათედრის სობოროს მღვდლებს იცავს.

მ. რაჭდენ ზიგაუროვი ამართლებს სამღვდელოებას მით, რომ მათ მათი გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა ნებას არ აძლევს, რომ ქადაგებითი სიტყვას ყურადღება მიაქციონ. აგრეთვე მ. ზიგაუროვი მოგვითხრობს, თუ რა საჭირონი არიან სოფლებში ნამეტურ განათლებული მღვდლები და რა არის მიზეზი, რომ ეხლა სემინარიელები არ მიდიან მღვდლად სოფლებში. ამასთანავე მ. ზიგაუროვი გვაუწყებს, რომ ქალაქის ზოგი ნასწავლი მღვდლები, გარდა სობოროს კრებულისა, რომელთაც სრული ჯამაგირი ეძლევათ, მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან და ამიტომ ისინი იძულებულნი არიან სხვა-და-სხვა სასწავლებელში იშოვონ გაკეთილები და ჯამაგირით არჩინონ თავიანთი ცოლშვილი. რაც შეეხება ხობოროს მღვდლებს, ბრძანებს მ. ზიგაუროვი,

ისინი არ ჰქადაგებენ მისთვის, რომ, როდესაც კონსტანტინეპოლის არხიეპისკოპოზი იოანნე ოქროპირი ჰქადაგებდა და მოძღვრებდა თვისსა სამწყსოსა კათედრის სობოროში, მის მღვდლების ქადაგ-მოძღვრებას ადგილი აღარ ჰქონდა. აგრეთვე აქაც ისეა, თორემ ამ სობოროს მღვდლებს კარგად შეუძლიანთ აღასრულონ ქადაგებითი სიტყვის თქმანიცა.

რაც შეეხება ჩვენი საქართველოს სამღვდელოების ეკონომიურ მდგომარეობას, ამაზე, როგორც საერო გაზეთებში, აგრეთვე გაზეთ „მწყემს"-შიდაც ბერვი თქმულა და დაწერილა და ჩემს წერილშიაც საკმაოდ იყო გამოხატული არა სასურველი ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი სამღვდელოებისა და ამიტომ იმავე წერილში ვამბობდი მე, რომ ეს ეკონომიური მდგომარეობა ბევრს მღვდლებს უშლის ხელს, რომ მათ ქადაგებითი სიტყვას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მეთქი; მაგრამ ამასთანავე ვამბობდი, რომ ბევრი მღვდლებია, რომელთაც შეძლებაც და განათლებაც ნებას აძლევს, მაგრამ ქადაგებითი სიტყვას სრულებით ყურადღებას არ აქცევენ და ამას გავიმეორებ ეხლაც. საჭიროა თუ არა ნასწავლი მღვდლები სოფლებში და ეხლა რატომ არ მიდიან სოფლებში სემინარიელები მღვდლად, ამაზედაც ბევრი იყო ნათქვამი საერო გაზეთებში და „მწყემს"-შიდაც და ეხლა საჭიროდ არა ვსთვლი, ბევრჯელ ნათქვამი და დაწერილი კიდევ გაუმეორო „მწყემსის" მკითხველებს. მე არ შემიძლია დავეთანხმო მ. რ. ზიგაუროვს იმაში, რომ ზოგი ქალაქის (იგულისხმეთ ქუთაისის) ნასწავლი მღვდლები მეტად გაჭირვებული იყვნენ. მართალია, ზოგ მათგანს დრამა არ ეძლევა და სრული ჯამაგირიც არა აქვსთ, მაგრამ მათი მრევლის „კეთილ-ნებობითი საჩუქარი" და „არა სრული ჯამაგირი" აღემატება სოფლის კაი პრიხოდის მღვდლის შემოსავალსაც. ეს ისე ცხადია, რომ ამას ფაქტებით დამტკიცება არ უნდა. ამ მხრითაც თუმც კაი შემოსავალი აქვსთ მათ, მაგრამ ამას არ სჯერდებიან და სხვა-და-სხვა სასწავლებლებში იღებენ ბევრ გაკვეთილებს, არა თავის კანონიერ ცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ გადაპრანჭული ცხოვრების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ქადაგებითი სიტყვას კი ყურადღებას არ აქცევენ. მე ვიცი ერთი ამისთანა მღვდელი, რომელიც მარტო სახლში წელიწადში ორმოც თუმანს აძლევდა ქირას, როცა მას ასე დიდი სახლობა არა ჰყავდა; მაგრამ ხომ იცით, რომ „ბალი და ვეჩერები" პატარა სახლში არ მოხერხდებოდა!..

რაც შეეხება მ. ზიგაუროვის კათედრის სობოროს მღვდლების გამოსარჩლებას, მე ამ გამოსარჩლებაში უფრო დაცინვას ვხედავ მისი მხრით და, თუ მ. ზიგაუროვი მართლად ესარჩლება მათ, მაშინ მე უნდა მოვახსენო მას შემდეგი: ეხლანდელი მართლმადიდებელი ხალხის სულიერი და ხორციელნი მოთხოვნილებანი ისე რთულნი არიან, რომ მარტო ყოვლად სამღვდელოებს თავის ქადაგებით და მოძღვრებით არ შეუძლიათ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამიტომ ურიგო არ იქმნებოდა, რომ სობოროს მღვდლებიც, შეძლებისა და გვარად, ჰქადაგებდნენ. რამდენი მღვდელია რუსეთში, რომელთაც თავი გამოიჩინეს თავის ქადაგებით და მოძღვრებით და მაშ, მ. ზიგაუროვის აზრით, მათი შრომა საჭირო და საქები არ ყოფილა, რადგან რუსეთში ყველა კათედრის სობოროებში სწირავენ და ჰქადაგებენ ხოლმე ეპისკოპოსები!..

ეპისკოპოსი სობოროში ყოველ წირვაზედ ხომ არ ესწრება და არ ჰქადაგებს? იოანნე ოქროპირი, როდესაც თვითონ არ იყო მწირველი და არ ჰქადაგებდა, მაშინ მღვდლებს ვალდებულად ხდიდა ექადაგნათ. ჩვენ თვითონ ეპისკოპოსის წირვაზედაც გვინახავს რუსეთში, რომ მღვდლებს ექადაგნოს. მაგრამ არა, ჩემო მამაო, რაჟდენ, თქვენ, მე ვგონებ, მათ დასცინით და კი არ ექომაგებით...

„საწყლებმა მღვდლებმა თუ არა გამოართვეს-რა მრევლს შიმშილით ამოუხოცებათ ცოლ-შვილიო," ბრძანებს მ. რ. ზიგაუროვი. არ მჯერა, რომ ყველა ასე გაჭირვებული იყონ მღვდლები. მღვდლებს, მართალია, ეხლა ბევრი სჭირდებათ, მაგრამ საზრდოსათვის კი არა, ქალებს ორი-სამი ათასი მანეთი მზითევი უნდა გაატანონ, თვითონ მდიდრულათ უნდათ იცხოვრონ (განსაკუთრებით ქალაქის მღვდლებმა) და ახლა სხვა ხარჯები და აღარ ეყო მრევლის შემოსავალი!.. მოციქულებს, წმიდა მამანებს და ღირსთა მამათა დიდი ჯამაგირების დანიშვნისათვის რომ მოეცადნათ და არ ექადაგნათ, შენი მტერია, ცუდი საქმე მოვიდოდა!.. კიდევ ვიმეორებთ აქ, რომ ჩვენ სახეში გვყავს ქალაქის მღვდლები და ისიც სემინარიის კურს შესრულებულნი და არა მოუმზადებელნი...

ბოლოს მ. რ. ზიგაუროვი შემდეგ კითხვებს გვაძლევს და პასუხსაც გვთხოვს: 1) „ეხლანდელი სამღვდელოების მდგომარეობა მატერიალურის მხრით სანატრელია, თუ არა? 2) ქუთაისში რამდენია სობორო და 3) რომელია ის ეკკლესია, რომელიც ყოველ კვირა-დღესასწაულებზე სავსეა მლოცველე-

ბით და ხალხი გულს-მოდგინეთ ისმენს თავის მწყემსის სიტყვას და ან ვინ არის ეგრეთი მოძღვარი?"

პირველი კითხვის შესახებ არა ვსთელი საჭიროდ პასუხის მიცემას, რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, ამ კითხვის შესახებ ბევრი დაწერილა გაზეთებში და მეც ჩემს წერილში უჩვენებდი მღვდლების ცუდ ეკონომიურ მდგომარეობას. ქათედრის სობორო ქ. ქუთაისში ერთია და თუ მე ვიხმარე სიტყვა: სობოროები, ეს მიტომ, რომ ქ. ქუთაისის გარდა საქართველოში ბევრგან არიან სობოროები. მესამე კითხვაზე არ მინდოდა პასუხი გამეცა მ. ზიგაუროვისათვის, მაგრამ, რადგან ამ კითხვაში იხატება ცოტაოდენი თავ-მოყვარება და, გვეგონა, არ იამებოდათ პირ-და-პირ დასახელება და ეხლა, რადგან სურს ამ სობოროს და მღვდლის დასახელება მამა რ. ზიგაუროვს, ჩვენც ვაცხადებთ, რომ ეს ეკლესია არის ის, რომელშიდაც მ. ზიგაუროვი მღვდელმოქმედობს და მღვდელი ხომ, რაღა თქმა უნდა, დ. მ. რაჟდენ ზიგაუროვი ბრძანდება. ამასთან ესეც უნდა დაუმატოთ, რომ მ. რ. ზიგაუროვი წაკითხულ სახარებას უხსნის ხოლმე მარტო ხალხს, მაგრამ მრევლი ამითაც კმაყოფილია; ქადაგებაებს და მოძღვრებაებს რომ გამართავდეს ეკლესიაში, ამას ხომ მეტი მნიშვნელობა ექმნება.

ერის კაცი.

სასარგებლო დარიგებანი და სწავლანი მოძღვრისა სამწყსოთათვის.

ბრავალს ცდილობს მართებლობა და ძლიერ მონდომილია ყველგან საზოგადოება, რომ, რაც შეიძლება, სკოლები გახსნან ყველგან და ახალ აღსაზრდელ თაობაში უსწავლელი და წერა კითხვის უცოდინარი აღარავინ დარჩეს, მაგრამ მაინც აუარებელი ხალხი რჩება სწავლა მიუღებელი და წერა კითხვის უცოდინარი. ამისათვის მოძღვრები არიან ვალდებულნი იხმაროან ყოველი ღონის ძიება, გაავრცელონ ხალხში, თავიანთ სამწყსოში, სასარგებლო სწავლა და დარიგებანი, საჭიროანი ყოველთა პირთათვის. ცხადათ და აშკარად სჩანს, რომ ნამეტანი ნაწილი ხალხისა შეპყრობილია ათას ნაირი ამაოდ-მორწმუნეობითა და ამ ამაოდ-მორწმუნეობას ხალხი ისე შეპყრობილი ჰყავს, რომ სიცოცხლეს უჭირვებს მასს და სულს უხუთავს... სამღვდელოება, თუ წერა კითხვას ვერ ასწავლის თავის სამწყსოთა, სასარგებლო დარიგებათა და სწავლათა მაინც ადვილად გარდასცემს, თუ ცოტა დროს მაინც მოახმარს ამას. მღვდელი თავის სამრევლოში ანათებული სანთელია. არც ერთ პირს ისეთი დაახლოება და კავშირი არ აქვს ხალხთან, როგორც მას. მრავალი შემთხვევა ხელს უწყობს მოძღვარს, რომ მთელ სამრევლოს ელაპარაკოს, ებაასოს ეკლესიას გარეთ. ახლა მაინც მთელ რუსეთში სამღვდელოებამ დიდი ყურადღება მიაქცია ამისთანა საუბრებს. ამ საუბრებს დიდის სიამოვნებით ისმენს ხალხი და ძლიერ მადრიელნიც რჩებიან თავიანთ მოძღვრებისა.

ამისათვის ჩვენ ვეცდებით, რომ დრო-და-დრო ამისთანა სასარგებლო და საჭირო დარიგებანი სამრევლოთათვის მოვიყვანოთ „მწყემს"-ში სახელმძღვანელოდ მოძღვართათვის. მღვდელი თვალს უნდა ადევნებდეს ხალხის შეკრებას და მოხერხებულ და მარჯვე დროს შეუძლია გაუმართოს შეკრებილ მრევლს საუბარი. ხალხი დღესასწაულებზე ხშირად იკრიბება ეკკლესიების ახლო-მახლო, სათემოზე, აგრეთვე დიდმარხვის დღეებში ლოცვამდინ და მის შემდეგ იციან ხოლმე ეკკლესიის ეზოში შეკრება. აი ამისთანა დროით უნდა ისარგებლოს მოძღვარმაც. არა გვჯერა, რომ ამისთანა თესლმა ნაყოფი არ გამოიღოს. ჩვენ თვალ-ყურს ვადევნებთ რუსულ საესულიერო ჟურნალ-გაზეთებს და ხშირად უძღვნით სამღვდელოებას და საზოგადოებას ამისთანა სასარგებლო საბაასო სწავლა-დარიგებას. მიწყებთ პირველად ბაას ქვეყანაზე.

ხილული ქვეყანა.

I.

ჩვენ, ძმანო, ყოველ დღეს ვხედავთ ჩვენს გარშემო მინდვრებს, ტყეებს და მაღალ მთებს. ვხედავთ აგრეთვე მშვენიერ მტრედის ფერ ცას, რომელიც ზევიდგან დაგეჩერებია თავზე. ყოველივე ესენი ჩვენ გვახარებენ. ბუნების სიმშვენიერე ჰაადავს ჩვენს თავში სურვილს შევიტყოთ, თუ ვინ შექმნა ყოველივე ესე. ველა ჩვენთაგანი ყოველ დღეს ხედავს ამაებს, მაგრამ მათი მნიშვნელობა ჩვენ, როგორც გაუნათლებელ კაცებს, არ გვესმის.

ჩა ვიცით, მაგალითებ, ჩვენ: დედას-მიწაზე, მის გარდა, რომ ის ჩვენი მრჩენელია, მზეზე, მის გარდა, რომ ის სინათლეს და სითბოს იძლევა; რა ვიცით ჩვენ სხვა ციურ მნათობებზე. აგრეთვე არა ვიცით რა მასზე, თუ რისგან წარმოსდგება დღე და ღამე; რისგან წარმოსდგებიან: წვიმა, თოვლი და სხვა მრავალი ბუნების მოვლენანი.

ყველა ესეები, ჩემო მეგობარნო, თქვენთვის გაუგებარია. ყველა ამაებს ხედავთ თქვენ, გინდათ გაიგოთ, მაგრამ, რადგან კარგად ამაების ახსნა არ შეგიძლიათ, ხშირად ვარდებით ცრუ-მორწმუნეობაში და შეცთომაში. ამიტომ დამიგდეთ ყური და მე, შეძლებისა და გვარად, გაგაგებიებთ ზოგიერთთა ბუნების მოვლენათა.

ნასწავლი კაცები დიდის ხნიდგან მეცადინეობდნენ შეესწავლათ ღვთისგან შექმნილი ხილული ქვეყანა. ეს კაცები აკვირდებოდნენ: ჰაერს, ცეცხლს და წყალს; უკვირდებოდენ დღის, ღამის, სიცივის და სითბოს ცვლილებათა, ესენი აკვირდებოდნენ იმ ციურ მნათობთა, რომელნიც ჩვენგან ძალიან დაშორებულნი არიან. ამ ნასწავლმა კაცებმა რამოდენიმე ჯერ შემოუარეს გარს დედა-მიწას, გასინჯეს მიწის და ზღვების სიღრმე და, რაც კი შეიტყვეს და შეისწავლეს მათ, გადასცეს ყველა ეს თავის შთამამავლობას. შთამამავლობამაც ყველა ეს ცნობები შეიმუშავა და დღეს ამ ნასწავლი კაცების წყალობით ბევრი რამ არის შეტყობილი და გაგებული. ამ ნასწავლი კაცების წყალობით ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დედა-მიწა ისეთივე სხეული არის, როგორც ის ციური მნათობები, რომელთაც ჩვენ ღამით ცაზე ვხედავთ. რომ ვინმე ჩვენთაგანი შეიძლებდეს და ერთ რომელიმე ციურ მნათობზე ავიდოდეს და იქიდგან დახედავდეს ჩვენს დედა-მიწას, ის შენიშნავს, რომ დედა-მიწა ისეთივე პატარა მნათობი წერტილი გამოჩნდება, როგორც ჩვენ მიწიდამ ციური მნათობები გვეჩვენება. მაგრამ ჩვენი ქვეყანა სხვა ციურ მნათობებივით არ ანათებს, რადგან მასს თავის სინათლე, როგორც მთვარეს, არა აქვს, არამედ სინათლეს იღებს მზისგან. სხვა ციურ მნათობებთან შედარებით დედა-მიწა ძალიან პატარა არის. ციური მნათობები, რომელთაც ჩვენ ღამით ცაზე ვხედავთ, ჩვენგან ძალიან დაშორებულნი არიან. მიწაზე უფრო დაახლოვებულნი არიან მზე და მთვარე. მაგრამ არ იფიქროთ, რომ მზე და მთვარე ძალიან ახლოს იყონ მიწაზე: მიწიდამ რომ გზა იყოს გაყვანილი მზეზე, საათში ორმოცდა ათი ვერსტი უნდა გაიარო, რომ მზემდის მიხვიდე სამას სამოცი წელიწადი. მთვარეზე ასვლას კი, თუ საათში კაცი გაივლის ორმოცდა ათ ვერსტს, ცხრა თვეს მოუნდები. ცაზე ბევრი მნათობები არიან, მაგრამ ზოგს ვერ ვხედავთ, რადგან იგინი ძალიან შორს არიან.

ჩვენი დედა-მიწა ბურთივით მრგვალია. წინეთ ეგონათ, ვითომც დედა-მიწა პრტყელი და თანასწორი იყო, როგორც ფიცარი; ეხლაც უსწავლელ კაცს ჰგონია, რომ დედა-მიწა პრტყელია და დამყარებული არის გველეშაპებზე. ჰგონიათ აგრეთვე, რომ მიწის და ცის ნაპირები შეერთებულნი არიან. მაგრამ ნასწავლმა კაცებმა დაგვიმტკიცეს, რომ ეს ფიქრი შემცდარი აზრია. მართლაც, ქვეყანა რომ პრტყელი ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ერთი მიწის კიდიდგან მეორეზე შეგვეძლო საგნების დანახვა დიდი დურბინდების შემწეობით. მაგრამ ჩვენ ეს არ შეგვიძლია, რადგან ამას გვიშლის მიწის ამობერილობა. გარდა ამისა, რომ დედა-მიწა მრგვალია, ამაში გვარწმუნებს შემდეგი ფაქტი: ჩვენ რომ აქედამ აღმოსავლეთისკენ წავიდეთ და სულ პირ-და-პირ ვიაროთ, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ გადუხვიოთ, შეგვიძლია მთელ დედა-მიწას შემოუაროთ გარშემო და ჩვენს სოფელში დავბრუნდეთ დასავლეთიდამ. ყველა ეს, რასაც გელაპარაკებით, ნასწავლმა კაცებმა დაამტკიცეს.

ახლა გეტყვით, თუ რისგან წარმოდგება დღე და ღამე და წლის დრონი. ნასწავლმა კაცებმა, დიდი ხანია, დაამტკიცეს, რომ დედა-მიწა ტრიალებს თავის გარშემო, ისე, როგორც ურმის გოგორა ტრიალებს თავის ღერძის გარშემო. ამასთანავე მიწა უვლის გარს მზეს, რომელიც მუდამ ერთ ადგილას არის გაჩერებული. უსწავლელ კაცს კი ჰგონია, რომ მზე დადის და მიწა გაჩერებულია. მიწა თავის გარშემო ტრიალებს ერთი დღე და ღამე. როცა ჩვენი დედა-მიწა ბრუნავს თავის ღერძის გარშამო და როცა ჩვენ სოფელს მიაშვერს მზისკენ, მაშინ ჩვენში იქმნება დღე და, როცა მზეს მოეფარება, იქმნება ღამე. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ, როცა ჩვენში დღეა, მაშინ მიწის მეორე მხარეზე ღამეა და როცა ჩვენში ღამეა, მაშინ მიწის მეორე გვერდზე დღეა.

მზის გარშემო შემოვლას დედა-მიწა უნდება ერთი წელიწადი; ამ ტრიალის დროს მიწა ხან მიუახლოვდება მზეს და ხან დაშორდება. როცა მიწა მიახლოვდება მზეს, მაშინ იმ მიწის ნაწილზე, რომელიც მზეზე ახლოს არის, ცხელა და როცა შორდება—სიცივეა. ასე რომ არ ყოფილიყო, ესე იგი მიწა რომ მზის გარს არ ტრიალებდეს, მაშინ მიწის ერთ გვერდზე მუდამ სიცივე იქნებოდა და მეორეზე მუდამ სიცხე. დედა მიწის ერთი მეოთხედი ნაწილი ხმელეთია და სამი მეოთხედი წყლით არის დაფარული. აქედამ დაინახავთ, რომ წყალს სამჯელ მეტი ნაწილი უკავია ხმელეთზე. მთელი ხმელეთი განიყოფება ხუთ ნაწილად, რომელთაც ქვეყნების ნაწილებს ეძახიან. ესენი არიან: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია. ამ ხუთ ხმელეთის ნაწილებში უდიდესია აზია და უპატარავესია ავსტრალია. უფრო განათლებული ხალხი სცხოვრებს ევროპაში.

ახლა დაიხსომეთ, რომ დედა-მიწა პრტყელი და თანასწორი კი არ არის, არამედ მრგვალია ბურთივით; მეორედ დედა-მიწა ისე დიდია, რომ მისი წარმოდგენაც არ შეგვიძლია და, მესამედ, ქვეყანა არ არის დამყარებული გველეშაპებზე, როგორც ზოგი ჩვენთაგანი ფიქრობს, არამედ გაჩერებულია ღვთის განგებით ჰაერში. შემდეგში სხვა ბუნების მოვლენაზე გელაპარაკებით და ეხლა კი შევევედროთ ღმერთს და სახლებში წავიდეთ.

ამისთანა სასარგებლო რჩევების მიცემა მოძღვრის მხრით არც დიდ მომზადებას და არც დიდ რასმეს არ მოითხოვს.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

IX.

როდესაც რომანოზ II აღესრულა *) და „დაშთა დედოფალი თეოფანა ორთა თანა ძეთა თვისთა ვასილი და კოსტანტინესსა, განუდგა მთავარი სკილიარასი, რომელმაც დაიპყრა ყოველნი ადგილნი და თეოფანა ყრმებითურთ შეამწყვდია ქალაქსა შინა სასყდროსა (კოსტანტინეპოლეს), მაშინ დედოფალი განიზრახვიდა, რომელ გარდა დავით კურაპალატისა შემწე ჩვენი სხვა არავინ არს, და იძულებულ იყვნეს წარგზავნად კაცისა თხოვნად შეწევნისა“. ამასობაში დედოფალმა გაიგო, რომ მთაწმინდას იმყოფებიან შემონაზონებულნი შესანიშნავნი მხედარნი საქართველოსანი: იოანე და თორნიკე, **) მისწერა წერილნი და სთხოვა და დიდად ევედრა, რათა მათ დაეხსნათ საბერძნეთი სკილიარისაგან. მაშინ თორნიკემ „განიძარცვა საბერო და შეიმოსა სამხედრო“; მერმე წარმოემართა საქართველოდ, აცნობა მეფესა, და მან მოსცა თორნიკეს ათორმეტი ათასი მხედარი, ყოვლითა სიმხნითა და ძლიერებითა სრულნი და გამოცდილნი გულოვანნი“; ამ ჯარით „წარმოემართა თორნიკე მტერთა ზედა და მეოდ ჰყვნა იგინი, აღიღო დიდ-დიდნი ქალაქნი და ციხენი მტკიცენი, დიდისა სიმხნითა თვისითა შემუსრნა, აოტა სკილარასი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარაქცია. ***)

*) იმპერატორი რომანოზ გარდაიცვალა 975 წელსა, მას დაშთნენ მცირეწლოვანნი ძენი ვასილი და კოსტანტინე.

**) იოანნე თორნიკე იყო ზემო ქართლელი, ქსნის ერისთავთაგან. ამ გამოჩენილ პირზე სწერენ ჩვენი მატიანენიც და აგრეთვე ბერძენთა და რუსთა მწერალნიც.

***) თორნიკე შეებრძოლა სკლიაროსსა მცირე აზიაში, მდინარე ღალისის ხეობაში. ეს ბრძოლა აღუწერიათ როგორც ჩვენთა მწერალთა, ისე ფრანგთა, სომეხთა. ამავე ბრძოლაზე მოგვითხრობს საფარის მონასტრის წარწერა. მტერზე გამარჯვების შემდეგ თორნიკე ჯერ წარმოემართა საქართველოდ თვის ბუნებრივ მეფის თაყვანის საცემლად და მერმე წავიდა საბერძნეთს.

ესრეთნი სახელოვანნი საქმენი ჰქმნეს მაშინ ქართველთა, რომელ ყოველნი გარემონი მტერნი ძრწოდეს მათგან.“ შემდეგ მატიანე განაგრძობს, რომ რაც რამ ნატყვენავი იშოვნა თორნიკემ ბრძოლის ველზე, ყველა დედოფალმა მისცა თორნიკესა და იოანეს და აგრეთვე ყოველნი განდგომილნი მთავარნი საბერძნეთისანი „მოიღებდენ თვისთა (სიმდიდრეთა და მისცემდენ მათ და ესენი ევედრნნეს დედოფალსა და განტევებულ იქმნეს.“ შემდგომად „დიდისა ნიჭითა მიიქცნეს მთათ წმიდადვე და შეიმოსა კვალად თორნიკე მონაზონებასა.“

ქართველთა ამ ალაფით დაუწყიათ აღშენება მთაწმიდაზე მონასტრისა: „ჰქმნეს ტაძარნი პატიოსანნი და ფრიადისა შენებულებითა განშვენებული და შეამკვეს ხატთა მიერ პატიოსანთა და ჯვართა და ყოველთა სამკაულთა სრულ-ჰყვნეს იგი და შემოუკრიბეს მას გარემონი მონასტრისა მის და დაუუნჯნეს მამულნი და ეგრეთვე სათავნოდ თეთრნი და აღავსეს შინაგანი მონასტრისა სრულიად ქართველთა მონაზონებითა და უქმნეს დასაყუდებელნი და აღიღეს სიგელნი მეფეთაგან ოქროს ბეჭდითა დაბეჭდილნი, რათა უფლებდენ იგინი ივერიისა მონასტერსა ზედა საუკუნოდ ყოვლითა შესვლითა და გასვლითა მისითურთ და ვერვინ უძლოსთ უფლებად მათ ზედა, გინა შეჭირვებად და ჰქმნეს შენებულებანი, რომელნიცა ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე ჰგიან და იწყეს თარგმანება წიგნთა საღვთოთა და მრავალნი წიგნნი გარდმოთარგმნეს ქართულსა ზედა ენასა“ (მოთხრ. ივერ. მონასტრ.).

ეს მთარგმნელნი და მოღვაწენი, გარდა იოანესი, იყვნენ: იოანეს ძე ეფთიმი, *) რომელმაც, სხვათა

*) წმიდა ევთიმეს შრომანი არიან ესენი: 1, თარგმანებაა იოანეს თავისა სახარებისა; 2. სწავლანი წმ. მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისნი; 3, მისივე თარგმანება ფსალმუნთა; 4, წიგნი წმიდისი კლემაქსისა; 5, წიგნი წმიდისა მაკარისა; 6, მაქსიმეს სწავლანი (აღმსარებისა); 7, წიგნი წმიდისა ისააკისა (ასურისტანისა), რომელსა შინა არიან სხვანიცა მამათა გამორჩეულთა სწავლანი; 8, წიგნი წმ. დოროთეისა; 9, წამება და სასწაულნი წმ. მთავარ-მოწამისა დიმიტრისნი (თესალონიკელისა); 10, ცხოვრება და წამება წმ. სტეფანე ახლისა; 11, ცხოვრება და წამება წმ. კლემენტო, რომთა პაპისა; 12, წამება წმ. კლიმი ანკჳრელისა; 13, ცხოვრება წმ. გრიგოლ ღუთის-მეტყველისა. 14, ცხოვრება წმ. დიდისა ვასილისი კესარიელისა მთავარ-ეპისკოპოსისა; 15, წამება წმ. აკეფსიმესი; 16, ცხოვრება წმ. პანკრატისი; 17, წამება წმ. მინა, ერმოგინისა და ევგრაფისა; 18, წმ.

შორის, ქართულიდამ ბერძნულად სთარგმნა ,,ბალავარი‘‘ და ,,ბუკურა‘‘, რომელნიცა წიგნნი ჩინებულ იყვნეს; ჟამსავე მას წმიდისა იოანესა და ევთიმისა იყვნეს მუნვე განშორებით მცხოვრებნი ივერიისა მონასტრისა დასაყუდებელსა, წმიდანი მამანი: არსენი ნინო-წმინდელ ეპისკოპოსი *) და იოანე გრძელის ძე, **) ღირსი იოანე ხახულელი, ოქროპირად სახელდებული და ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალი აბრაამ სტუმრის მოყვარე, ზაქარია მირდატის ძე და არსენი და სხვანი მობაძავნი მათნი, რომელნიცა ფრიადისა მოღვაწებითა ცხოვრებდეს და მრავალნი წიგნნი სთარგმნეს ბერძნულისაგან ქართულსა ენასა ზედა.‘‘

მოსე ჯანაშვილი.

გრიგოლ ნოსელისა თქმული შესხმა, ძმისა თვისისა დიდისა ვასილი და ქალწულებისათვის, და წმიდისა მამათ ჩვენისა თარგმანი, და წმიდათა მარხვათათვის, და წმ. მოსე წინასწარმეტყველის ცხოვრების თარგმანი; 19, იოანე მახარებელის ხილვა და ხილვისა ახსნა; 20. თარგმანი ანდრია კრიტელისა; 21, თქმული იოანე დამასკელისა ორისა ბუნებისათჳს ქრისტესსა, 22. სხვა წმ. ღუთის-მშობლის შობისათვის; 23. ცხოვრება დიდისა ათანასესი ალექსანდრიელისა; 24. წამება წმ. სამთა ყრმათა: ალფიოზ, ფილადელფოს და კჳპრიანესი; 25, ცხოვრება წმ. ონოფრი მძოვარისა დიდისა; 26, ს ავლანი წმ. ზოსიმესნი (სარწმუნოებისათვის); 27, სწავლანი წმ. მამისა ეფრემისნი სარწმუნოებისათვის; 28, სჳნაქსარი საწელიწადო, უმცრესი; 29, მიმოსვლა და ქადაგება წმ. იოანე მახარებელისანი; 30, სქემას კურთხევა, ბერძული; 31, მონაზონის კურთხევა; 32, ჴსჯულის კანონი წმ. იოანე მმარხველისა და მეექვსისა კრებისა; 33, მეგლის წერა მართლისა სარწმუნოებისა; 34, სწავლანი წმ. მარტირისანი; 35, წამება წმ. ფებრონიასი (მონაზონისა). 36, წამება წმ. ანთიმოსი; 37, წამება წმ. მოწ. ელასისა და ორთა მონაზონთა; 38, წამება წმ. თეოდორე სტრატილატისა, თეოდორე პერგელისა ევსტრატითურთ, და წმ. ევსტათესი და შვილთა მისთა, 39. სწავლანი წმ. კასიანესნი; 40. წიგნი დიალოღონი; 41. წმიდათა მთავარ-ანგელოზთა სასწაულნი; 42. ცხოვრება წმ. ნიკოლაოზისა, საკჳრველ-მოქმედისა; 43, წიგნი ღუთის-მეტყველისა გრიგორისი; 44, მაქსიმეს რვათა გულის სიტყვათა; 45, ვასილის თქმული კაენის შვილთა შურის გებათათვის; 46, შუალამენი ბერძულნი; 47, ლოცვანი ბერძულნი მამისნი და სხ.

*) წმ. მამა არსენი მონაზონად აღკვეცილ იყო იერუსალიმს. მოიწვიეს იგი საქართველოს და მისცეს ეპისკოპოსობა ნინო-წმიდისა. შემდეგ რაოდენისამე დროისა წარვიდა მთადწმიდად და გარდაიცვალა. იქვე ასაფლავია. მისი შრომანი: 1, ღუთის-მეტყველება იოანე დამასკელისა, 2, წიგნი გრიგოლ ნოსელისა, 3, მეტაფრასნი და საგალობელნი წმიდათა.

**) მისი შრომანი: 1, დარღვევა მაჴმადიანთა სარწმუნოებისა და სიტყვა სარკინოზთა მოქცევისათვის სარწმუნოებისადმი ქრისტესსა, 2, შვიდთა მსოფლიოთა კრებათათვის, 3, ისტორია ეკკლესიური თეოდორიტესი, არა სრული, 4, საგალობელი კანონი ივერიისა პორტაიტისა, ანუ კარისა ღუთის-მშობლისა.

სურამიდამ.

შესანიშნავი და საყურადღებო ფაკტები.

სურამი ვითომც უბრალო დაბა არის და ერთი შეხედვით საყურადღებოს ვერას ნახავ მასში, მაგრამ, რომ დააკვირდები, გაიხედ გამოიხედავ, შეხედავ და დააკვირდები ხალხის ცხოვრებას, ბევრ საყურადღებო რამეებს შენიშნავ. ამ პატარა დაბაში სამი სულ სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხია: მართლ-მადიდებელი, სომხები და ურიები. ჩემ, ყურადღებას იქცევს ყველა ამ ხალხების ღვთის მსახურება და ამაზედ მინდა მოგელაპარაკოთ, მკითხველო, ცოტაოდენი.

ამ დაბაში ამ სამივე ხალხს აქვსთ თავისი ეკკლესიები და ჰყავთ თავიანთი მღვდლები. შევედი ქართველების მართლ-მადიდ. ეკკლესიაში. ეკკლესიაა პატარა და უშნო. კედლები და თითქმის ყველაფერი ეკკლესიაში მტვერით დაფარულია. მღვდელი წირვათ სდგას, ხალხი ძლიერ ცოტა არის ეკკლესიაში; ღვთის მსახურება უშნოთ სრულდება. ერთად ერთი პრიჩეტნიკის კითხვა და გალობა ემსგავსება თფილისის ქალაქის დიაჩოქების კითხვა-გალობას. მღვდლის სახარების კითხვა სრულებით არ ემსგავსება სხვა მღვდლების სახარების კითხვას. წმიდა სანთელი ალსავლის კარის სიახლოვეს პოლზე ჰყრია. ეკკლესიის ეზოში არა ვითარი შენობა არ არის საეკკლესიო, არც სკოლა და არც სხვა. ერთი სიტყვით, გარეთ გამოდიხართ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილებით და თავის თავს ეუბნები: ნუ თუ ამისთანა დაბაში უკეთესი ეკკლესიის გაკეთება ვერ მოუხერხებიათ და უმჯობესი წესის დაარსება ვერ შეიძლეს ეკკლესიაში? ამ კითხვის ახსნას ნახავ ჩვენი ქართველების უდარდელობაში, დაუდევნელობაში და თავის მოვალეობის და დანიშნულების აღუსრულებლობაში...

შევედი სომხის ეკკლესიაში. ეკკლესია მშვენიერი და დიდია. სულ სავსეა ხალხით, ქართველი სომხებით. წირვა ლოცვა სრულდება სომხურ ენაზე. ხალხი მოწიწებით სდგას და ღმერთს ევედრება, მაგრამ ლოცვას და გალობას კი არ მოჰყავს ხალხი გრძნობაში; ისე, თავისით ლოცვილობს. მღვდლის და დიაჩოქების მათ არაფერი ესმისთ. ხალხი სულ ქართველებია და სომხური ენა მათ არ იციან. როდესაც დაფიქრდები შემდეგ წარმოიდგენ ქართველი ხალხის ამისთანა უბედურ მდგომარეობას, გული ჰკვნესის და განუსაზღვრელ მწუხარებას ეძლევი. შენ წინ წარმოგიდგება თათრები, რომელთაც ერთი მხარე მოგლიჯეს საქართველოს, გაათათრეს, მაგრამ

იმდენი ნამუსობა და პატიოსნება იხმარეს, რომ ენა არ წაართვეს. ამ გათათრებულ ხალხს, ქართველებს, თავისი ენის დაცვით არ დაუმცირებია ერთგულება, კავშირი და სიყვარული თათრებისადმი. ეს გათათრებული ქართველები იმდენად შეეთვისა თათრებს, რომ, როდესაც რუსეთმა დაიკავა აჭარა, ისინი სათათრეში გადაესახლენ და თათრებს არ დაშორდნენ. რით დაიმსახურეს თათრებმა ამისთანა სიყვარული აჭარელი ქართველებისა? მით, რომ იგინი მათ ენას არ შეეხენ. რისთვის და რა საშუალებით ასომხებენ ქართველებს სომხები? რა საფუძვლით ხელმძღვანელობენ სომხის ტერტერები ამ შემთხვევაში? ეს მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის.

ეკკლესიის ეზოში არის დიდი შენობა, რომელშიაც სომხების სკოლა არის. ამ სკოლაში აძრობენ ენას ქართველებს და სომხურს ასწავლიან...

ურიების ეკკლესიაზე და მათ რაბინებზე შემდეგისათვის.

გამვლელი.

სომხების სარწმუნოებრივი სწავლა და ეჩმიაძინის საპატრიარხო მონასტერი. *)

(ფრანგულიდამ ნათარგმნი).

ჟი მევგენი ბორე ღვთისმეტყველი და მასთანავე გამოჩენილი არმენისტი რა სახით მარტავს სომხის ეკკლესიის სწავლას და მოუთხრობს იმ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს მისი გამოყოფა მსოფლიო ეკკლესიისაგან.

„ნიკეას დიდმა კრებამ, არიანობის შემაჩვენებელმა, მრთელი ქრისტიანობა განანათლა იესოს ქრისტეს ორი ბუნების ძირეული, მაგრამ სამძიმო კითხვით. სიმვოლო, რომელსაც იგი განანაქვთიერებს (formule), აღმოსავლეთის ეკკლესიისაგან აღიარებული და სასომხეთად წმ. გრიგორის ძის მიერ შეტანილი, იმავე მუხლის გამო არ შეიწყნარეს იქ, თუმც მართალი და ცხადი იყო. ნესტორი, რომელიც ეკკლესიასთან ერთად აღიარებდა იესო ქრისტეს ორ ბუნებას, მოშორდა მართლმადიდებლობას ორს ბუნებასთან ორი გვამის (პირის) დამსკვნელი. მისმა მწვალებლობამ განაახლა შეცდომილება არიისა, რომელსაც ეწინააღმდეგებოდა. ეკკლესიამ მსგავსადვე გამოაცხადა თავი თვისი მის წინააღმდეგ და შეაჩვენა იგი. ევტიხი, ნესტორიანობის გულმოდგინედ მოწინააღმდეგე დაატყდა შეცდომილებას, რომელიც სრულიად ეპირდაპირებოდა მას, რასაც ასე თავ გამოდებით ებრძოდა. მართლადაც გვამის ერთობის დამცველი გამოდის და აცხადებს ბუნების ერთობას. ეს ახალი მწვალებლობა, უფრო მახვილი და უფრო საშიშარი, ვინემც მეორე, რადგანაც იესო ქრისტეს ღვთაებრივობას ადიდებდა, მიდრკა მისი კაცობრიობის უარ საყოფელად და საშინელი სისწრაფით გავრცელდა აღმოსავლეთზე. ბუნების ერთობის დამცველნი ანუ მომხრენი სახელ-იწოდენ ბერძნულ სიტყვით მონოფიზიტებად (ერთბუნებიანებად). მართალია, ვინც იესოს ქრისტეს ერთ ბუნებას აღიარებდენ, ისინი თვით საქმით მწვალებელნი არ ყოფილან, ვინაიდგან ვხედავთ ბევრ ფრიად მართლმადიდებელ მამებს ბუნების სიტყვით ეყურებათ გვამოვნება ანუ არსება, და ყოვლად ცნობილია, რომ ღვთის ძის არსება ძირეულად და მიუცილებლად ერთია. ამ განსხვავების თანახმა უპირატესად სასომხეთია და შეუძლია განათავისუფლოს უსამართლო ბრალდებისაგან მრავალ ღვთისმეტყველთა, რომელნიც ერთბუნებიანთა შორის აყენებენ.

მეორე ხალკიდონის (551 წ.) კრებამ განაძო ევტიხის სწავლა. მისი მომხრენი, დიოსკორიანებთან შეერთებულნი, განიფანტენ აზიად და ღაღადებდენ, რომ ამ კრებაზე შეიწყნარეს ორ გვამოვნება და განახლებული შეცდომილება ნესტორისაო. სასომხეთის ერის სული თანაგრძობით უყურებდა ბერძნებს, რომელნიც მრავალ ჯერ გარეულიყვნენ მისი ქვეყნის საქმეებში და რომელთ მზაკვარი პოლიტიკა, ისე როგორც სპარსელების, საზიზღარი იყო მისთვის. თვალ ხარბად შეხვდენ მწვალებლების მსტოვართაგან დათესილ ცრუ ხმებს, და ლეონ პაპი, რომელმაც ხალკიდონის კრება მოიწვია, მეტად შავი სალებავებით იქმნა გამოხატული. 596 წლის ხანს პატრიარხმა აბრაამმან შეკრიბა ტორისად (Jauris), მაშინდელი სამეფოს სატახტო ქალაქს სასომხეთის ეპისკოპოსნი რიცხვით ათი; და იქ მედიდურად ეწინააღმდეგა ხალკიდონის კრებას, რომელიც შეჩვენებულ ჰყვეს.

---

*) ჩვენ ვბეჭდავთ ამ სტატიას შეუცვლელად, რომ დავანახოთ მკითხველებს, თუ როგორ განმარტებენ თვითონ სომხები მართლ-მადიდებელ ეკკლესიიდგან დაშორებას შემდეგ ჩვენ დავბეჭდავთ ამავე საგანზე სხვა პირთა შეხედულებას და ამ დაშორების მიზეზთა განმარტებას. ჩვენის აზრით, არ იქმნება უსარგებლო, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ გაიგოს მიზეზები, რომელთა გამო ფრანგები და სომხები დაშორდენ მართლ-მადიდებელ ეკკლესიას.

რედაქტორი.

ᲩᲛ გვარად სასომხეთის ერი გატყორცნილ იქმნა მწვალებლობის გზაზე. მეოთხე საუკუნეს აქეთ არსებობს ეს მწვალებლობა და კარგია, რომ სომხებიც აგრეთვე ეწინააღმდეგენ, კათოლიკე ეკკლესიის არ იყოს, ᲔᲢᲘᲮᲘᲡ, რომელსაც მწვალებელსავით უარ ჰყოფენ, მაგრამ სამწუხარო წინაადმდეგ მეტყველებით (contradiction) იმნაირად გულმოდგინედვე განიკითხავენ პაპს ᲚᲔᲝᲜᲡ და ᲮᲐᲚᲙᲘᲓᲝᲜᲘᲡ კრებას, რომელთაც ᲔᲢᲘᲮᲘ შეაჩვენეს.

ᲥᲝᲠᲘᲡᲘᲡ მეორე კრების შემდეგ ᲘᲕᲗᲘᲡ მსასუურებას დაეტყო საულრესო დამატება, რომელიც ერთი ბრალმდებელ მუხლთაგანია მწვალებელთა წინააღმდეგ. Საქმე ეხება საღვთო საგალობელს **სამეულწმიდაოს**, სადაც **წმიდაო ᲘᲛᲔᲠᲗᲝᲝ** გამეორებულია სამჯერ და რომლის ბოლოს უმატებენ, **რომელიც იქმენ ჯვარცმულ ჩვენთვის.** ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲔᲜ, რატომ არ შეცვლით ᲘᲕᲗᲘᲡ სახელ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘᲗᲐᲝ, რომელიც იტანჯა, როგორც კაცი და არა როგორც ᲘᲛᲔᲠᲗᲘᲝ? ᲗᲥᲕᲔᲜ კაცობას ღვთაებაში ნთქავთ, თქვენ აღიარებთ მხოლოდ ერთ ბუნებას და მაშასადამე ᲔᲢᲘᲮᲘᲡ შეცდომილებაში ვვარდებითო.

ᲒᲮᲐᲓᲘᲐ, უცხო მორწმუნენი არ მიჰყვებიან ᲔᲢᲘᲮᲘᲡ შეცდომილებას. ᲘᲒᲜᲘ თვითონ შეაჩვენებენ და ᲭᲠᲣᲚᲕᲐ წყევას უგზავნიან მწვალებლობის მოთავეს, რათა დაამტკიცონ, რომ ორი ბუნება ერთობის უწინარეს არეულ იყო, რათა მათ ერთზედ არა უმეტესი შექმნილიყოო, ან და რომ ღვთაება ნთქავს კაცობასო. მაშ, რაშიღა ცდებიან განხორციელების მიმართ? როგორც, ძველი ფილოსოფიის მიყოლით, ბუნებრივი ერთობით, ჩვენი სხეულისა და ჩვენი სულისა, განსახიერდება მხოლოდ ერთი ბუნება, ასე რომ ორივე ნაწილი ერთად გვეხმარება ყოველი ჩვენი მოქმედებისათვის, სული სხეულის მოძრაობას, ხოლო სხეული სულის მოძრაობას, ამის არ იყოსო აღიარებენ, რომ გვამოვნებითი ერთობით, ღვთაება და კაცობა ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ შორის შეიქმნა ყოველი ჩვენი მოქმედების, ჩვენი მიხრა-მოხრის მოღვაწე დასაბამიო, რომ მისი მოქმედება, მე ვამბობ იმას, რომელიც ჩვენსას შეეფერება, არ იმართება მხოლოდ იმ უპირატესობით, რომელსაც იგი ღვთაებისაგან მოიღებს, არამედ მითაც კიდევ, რომ იგი მისგან გამომდინარებს, გამოვალსო. ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ მსჯელობა შესაძლოა აგრეთვე საგულისხმო იყოს სეიფთების, ᲔᲗᲘᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ და ᲮᲐᲢᲘᲡ მებრძოლთა უმეტესი ნაწილისათვის".

ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ აღსარების ცრობილ მთავარს ჰქვია კათოლიკოსი, მისი ბინა ᲔᲩᲛᲘᲐᲫᲘᲜᲘᲡ მონასტერია, რომელიც მდებარებს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲗ სამხრეთისკენ და ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲗ რამდენსამე ეჯზე. ᲔᲩᲛᲘᲐᲫᲘᲜᲘᲡ წიგნთ საცავს მოეპოვება, ცოტა რომ ვსთქვათ, ოთხი ათასი ხელთნაწერი, რომელთაგანი თვითოეული რამდენისამე თხზულების შემცველია. ᲘᲡ წიგნთ საცავი უნახავთ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ მოგზაურებს და აი „ᲢᲐᲕᲔᲠᲜᲘᲔ" აღმოსავლეთის დიდად მცოდნე მოგზაური, რომელსაც იქ უვლია მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში, როგორ ნამდვილ აღწერილობას გვაძლევს:

„ᲝᲠᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ალაგი, ღირს შესანიშნავი სპარსეთად შესვლის დროს სასომხეთით არის, სამ ეკკლესიას რომ უძახიან ის, ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲗ სამ ეჯზე, და სამი მონასტერია, ერთი მეორისაგან რომელსამე მანძილზე მდებარენი. ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲒᲐᲜ უფრო დიდი და უმშვენიერესი სომხების პატრიარხის საცხოვრებელია; იქვეა მეორე სამხრეთად ასე თოფის სასროლ მანძილზე მოშორებული; მესამეც ოთხ ეჯზე, ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲗ, რომელიც არის დედათ მონასტერი. **Სომხები** ამ ადგილს უწოდებენ ᲔᲩᲛᲘᲐᲫᲘᲜᲡ, ე. ი. **მხოლოისა ძისაგან შთამომავლობახ**, რომელიც სახელ ეწოდების უმთავრეს ეკკლესიას. Შეწირული არს იგი წმიდა ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ, რომელსაც სომხები დიდ პატივს ჰსცემენ და იქ იხილვება ერთი ქვის ტაბლა, რომელიცაა იმ დროინდელ, როდესაც ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ მაზე მჯდომარე წმ. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ გამოცხადებია. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲓ შემსვლელნი დიდი მოწიწებით ემთხვევიან ხოლმე ამ ტაბლას.

ᲧᲕᲔᲚᲐ სომხები სპარსეთს მიმავალნი ან იქიდამ მომავალნი ჩვეულებისამებრ შეუხვევენ სამი ეკკლესიის მოსალოცავად და ქარაფანი კი გაჩერებული ჰყავსთ ხუთ, თუ ექვს დღეს, რომლის განმავლობაში ენდობიან და პატრიარხისაგან ცოდვათა განტევებას ღებულობენ.

ᲣᲐᲢᲠᲘᲐᲠᲮᲡ ჰყავს თავის ხელ ქვეშე ორმოცდა შვიდი მთავარ ეპისკოპოსი, თვითოეულ მთავარ ეპისკოპოსს ეხელქვეითება ოთხი თუ ხუთი ვიკარიოზი, რომელთა თანა ერთობით ცხოვრებს მონასტერში, სადაც ზედამხედველობენ მრავალ ბერებს. Როდესაც ჩვეულებრივად დღის პირველ საათზე გამომავალი წირვა-ლოცვა თავდება, ეს ბერები ყველანი მიწის სამუშაოდ დადიან მათ დასარჩენად. ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲮᲘᲡ შემოსავალი იქნება სამოოდენ უშქარი (million) ფრანკი (ხუთი შაურია).

ᲩᲩᲛᲘᲐᲫᲘᲜᲘᲡ სასულიერო მმართველობა, მისი შემოსავალი და სხვა ცხოვრების პირობანი ორასი წლის განმავლობაში საკმაოდ უნდა შეცვლილიყვნენ; ასე რომ დღეს სომხების პატრიარხს აღარც იმდენი მთავარ ეპისკოპოსი ჰყავს ხელ ქვეშე და, მგონია, არც შემოსავალი უნდა ჰქონდეს იმდენი:

სხვა მხრით მონასტრის საქმე წარმატებაშია: წიგნთ საცავი შვენიერი ახლავს და სასულიერო საშუალო სასწავლებელი ჩინებული, სადაც სწავლა მეცნიერებას სომხურ ენაზედ ასწავლიან.

* * *

ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

როგორც იციან მკითხველებმა, „მწყემსი“-ს 13 და 14 №№-ში იყო დაბეჭდილი წერილები შესახებ ქართული საეკკლესიო გალობის აღდგინებისა. ამ წერილებში, სხვათა შორის, იყო ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ როგორ მდგომარეობაში არის ქართული საეკკლესიო გალობის აღდგინების კომიტეტის საქმე დღეს, რათ დაიშალა ეს კომიტეტი და როგორ მოიქცა ის პირი, რომლისაგანაც ჩვენ ეკკლესიურ გალობის აღდგინებას უმეტესად ველოდით? ეხლა, ვითომ ამ წერილების გასამტყუნებლად და უსაფუძვლობის დასამტკიცებლად, ჩვენ ვკითხულობთ „დროების“ 171 №-ში ვიღაცა „სიმართლის მომხრეს“ სახელით დაწერილს შემდეგ წერილს:

მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა არ დაკმაყოფილდა ჩვენდამი მომართული თავის დამარწმუნებელი და გონიერი სიტყვებით მარტო, არამედ გვიჩვენა საქმის შესახები ყველა ოფიციალური დოკუმენტები, სინოდალური კანტორიდამ გამოტანილნი. ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ მღვდელთ-მთავრის სიტყვები, გულ-დასმით გადვიკითხეთ მოხსენებული დოკუმენტები და სრულიად დავრწმუნდით, რომ; ა) 20,000 მანეთი იმ განზრახვით იბოჭება, რომ მისი სარგებლით დაქირავებულ იქმნას გალობის სამი მასწავლებელი; ბ) ყოვლად-სამღვდელო არა-თუ უარ-ჰყოფს გურულს კილოს და მისს არსებობას, არამედ კიდეც მოსწონს იგი, მაგრამ აღიარებს, რომ ეს კილო *დღეს დღეისობით* მოქალაქობრივობას ვერ მოიპოვებს ქართლ-კახეთში; გ) ყოვლად-სამღვდელო წინააღმდეგი კი არა, დიდი მომხრეა გალობის ნოტებზე გადაღებისა, მხოლოდ მისსა და ზოგიერთს სხვების მომხრეობასა შორის ის განსხვავებაა, რომ ყოვლად-სამღვდელო დაბეჯითებით თხოულობს, რომ ნოტებზე გადაღებულ იქმნას უთუოდ *ორივე* კილო ქართული საეკკლესიო გალობისა: *ქართული* (ანუ უკეთ ვსთქვათ კარბელაშვილებისა) და გურული. ქართული კილოს გადაღებისათვის საჭირო ხარჯს მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა იღებს თავის უხვისა და საზოგადო საქმეთათვის უშურველის ჯიბიდგან. ამას იმიტომ უფრო შვრება სამპატივო მღვდელთ-მთავარი, რომ გურული კილოს ნოტებზე გადაღება ეკკლესიებს გაუადვილდეს, რადგანაც უამისოდ მათ ორივე კილოს ნოტებზე გადაღებისათვის საჭირო ხარჯი გასტუმრებული იქნება იმ ფულებით, რომელიც შემოვა ეკკლესიებისაგან, ნოტების ყიდვიდამ მხოლოდ იმ ფულით კი, რომელიც დღემდის მოკრებილა ანუ მომავალში მოიკრიბება გალობის საქმისათვის, ვიმეორებთ, უნდა დაქირავებულ იქმნას გალობის სამი ოსტატი საქართველოს სამს სასულიერო სასწავლებელში.

ამის წაკითხვის შემდეგ ვისაც გონების სიმახვილე ცოტა მოჩლუნგებული აქვს, სრულიად დაკმაყოფილდება და აღარ გაიგონებს, რაც უნდა უთხრა! ჩვენ ვარწმუნებთ სიმართლის მომხრეს, რომ მას ყველა საბუთები და მიწერ-მოწერები არ წაუკითხავს. ჩვენ ვარწმუნებთ მას, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე იყო მიზეზი, რომ მოისპო და ბოლო მოეღო ქართული გალობის აღმადგინებელ კომიტეტს და, ვგონებ, საუკუნოდაც დაიშალა ამ კომიტეტის განზრახვა. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ბრძანებს: ოცი ათას მანეთს რომ შევკრებ ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში და გურიაშიო, (ჯერეთ ხუთი ათასი მაქვს შეკრებილიო) მერმე ამ ფულის სარგებლით მასწავლებლებს დავიქირავებ სამს სასწავლებელში: გორში, თფილისში და თელავში და ვასწავლებინებ გალობასაო. ღმერთო ჩემო! იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში ფულები მოიბოჭოს გალობის აღსადგენად და მარტო გორში, თელავში და თფილისში ასწავლონ ამ ფულით! როგორი ანგარიშია? აი სწორეთ ეს არის კიდეც გულსაკლავი, რომ ზოგიერთი ქართლელები ისე უყურებენ იმერლებს, როგორც სხვა ტომის ხალხს; შენ წაგართმევ ფულს და მე ვისწავლიო! კარგი ანგარიშია ღმერთმანი!!.

პატივცემული ალექსანდრე ეპისკოპოსი ბრძანებს: „ხუთი ათასი უკვე შევკრიბე; ამ ფულებს ნუ ჩამომართმევთ; კიდევ მომეცით წიგნი ფულის შესაკრებლად, რომ ოცი ათას მანეთად შევასრულო. ამ ფულის სარგებლით სამ მასწავლებელს დავიქირავებ თფილისის, გორის და თელავის სასწავლებლებში. კარბელოვის კილოს მე ვითავებ და გადვიღებ ნოტებზე; იმერული კილო ვისაც მოსწონს, მათ იშრომონ და გადიღონ ნოტებზე.“

იქნება იმერლებს უთხრან: „თქვენც ეცადეთ და შეჰკრიბეთ ფულები თქვენი კილოს გალობის გადასაღებათაო“. ერთის მხრით ეს მართალი ეგონება მკითხველს, მაგრამ ამისი თქმა არ შეიძლება. პირველად, როცა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ რომ გამოაცხადა 20,000 მ. უნდა შევკრიბოვო, იმ აზრით გამოაცხადა, რომ ორივე კილოს ქართული გალობა უნდა აღდგენილიყო კარბელოვისაც და გურულებისაც. ამისთვის შესწირეს კიდეც იმერლებმა, გურულებმა და მეგრელებმა ერთი სამათ მეტი ქა-

რთლ-კახელებზე გალობის აღსადგენი ფულები. ეხლა ეუბნებიან: ,,თქვენ თქვენთვის ეცადეთო“!.. ეს სადაურია?.. ეხლა იმერლებს და გურულებს სრული უფლება აქვსთ უკან წამოიღონ თავის შეტანილი ფული და თვითონ ეცადონ გალობის აღდგინების საქმეს; ამისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ გამოცხადდეს სახელები ფულების შემწირველთა, თუ ვინ სახელდობრ რამდენი შემოიტანა გალობის აღდგინებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ინებებს და გადმოგვცემს შემწირველთა სიას გამოსაცხადებლად. ამას ვითხოვთ ნამეტურ მიტომ, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ პირველად ,,დროებაში“ გამოაცხადა, რომ შემწირველების სახელებს და შეკრებილი ფულის რაოდენობას გაზეთით შევატყობინებთ საზოგადოებასაო. დღეს რა უდგია ამას წინ? — ვერ გაგვიგია.

უნდა გამოტეხილად ვსთქვათ, რომ ყოველთვის საქართველოში ,,ჩემიან-შენიანობას“ წაუხდენია საქმე, ყოველთვის ,,ამერლების და იმერლობის“ მიდგომ-მოდგომას გაუფუჭებია საქმე და დღესაც ის ახდენს ჩვენს საზოგადო საქმეს. საკვირველია, რომ ზოგიერთების თავში ვერ მოთავსებულა ის აზრი, რომ ქართლელი, კახელი, იმერელი, მეგრელი, გურული და სხვანი შეადგენენ ერთ ქართველთა ტომს და ისინი ყველანი ერთად უნდა ცდილობდენ საეკკლესიო გალობის აღდგინებისათვის და არა ცალცალკე... შემდეგში ჩვენ წარუდგენთ მკითხველებს დამამტკიცებელ საბუთებს თუ ნებას მოგვცემს დაბეჭვდისას ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზი...

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ჩვენ მივიღეთ მაისის და ივნისის №№ ,,ნობათი“-სა. ორი წიგნის მაგიერ ერთიჲ გამოსული, მაგრამ თავისი შინაარსით და გარეგანი სილამაზით ამ ნაკლულევანებას სრულებით ფარავს. ზოგიერთი ლექსები და სტატიები ისე ხელოვნურად და მშვენიერად არიან დაწერილნი, რომ ნამეტნავად ხვდება გულს და კაი შთაბეჭდილებას იღებს მკითხველი. სამწუხაროა, რომ საზოგადოებამ კიდევ არ იცის ამ მშვენიერი ჟურნალის არსებობა და, თუ იცის ისიც განცხადებით და არა შინაარსით. ვისაც ოჯახის და შვილების პატრონს ერთი—ორი № ,,ნობათი“-სა უნახავს და წაუკითხავს, არ გვჯერა, რომ ოთხი მანეთის გამოღება დაიზაროს და არ გამოიწეროს...

***

ჩვენ მივიღეთ ახლად გამოსული **ქართული ლექსიკონი**, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან და გამოცემული ბ. რაფიელ დ. ერისთვის რედაქტორობით და ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით. ამ ლექსიკონში მოქცეულია საბა-სულხან ორბელიანის სურათი. ამ ლექსიკონის გამოცემა სწორეთ სასიხარულო მოვლენას შეადგენს. ეტყობა რომ ბ. რაფიელ ერისთავს არ დაუზოგავს თავისი შრომა ამ წიგნის გამოცემაზე, რომელსაც შთამომავლობა დიდათ დააფასებს. ლექსიკონი ოთხას ოცდა ათი გვერდისაგან შესდგება და მშვენიერ ქაღალდზეა დაბეჭდილი. ფასი წიგნისა არის ოთხი მანეთი; ვისაც ქართული ენა უყვარს, ეს ფასი ნამეტნავად არ ეჩვენება. იმედია, ჩვენი ზოგიერთი შეძლებული მღვდლები მოიპოვებენ ამ წიგნს და თავიანთ წიგნთ საცავს დაამშვენებენ.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ს. არგვეთის (შორაპნის მაზრაში) ეკკლესია გაუტეხიათ ავაზაკებს და ვეცხლის ბარძიმ ფეშხუმი წაუღიათ. ქურდები დღესაც ვერ აღმოუჩენიათ.

რედაქციის პასუხი.

— მ. პა—ძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ს. დიმს. საზოგადოების მამასახლისს. თქვენს წერილს დავბეჭდავდით, მაგრამ რას იწერებით თვითონ არ იცით, ვგონებ, და სხვა ხომ სულ ვერაფერს გაიგებს!

— ი. ლ. საჭიროა ყოველთვის რედაქციამ სრული ადრესი იცოდეს კორესპონდენტთა. თქვენი თარგმანი არ დაიბეჭდება.

Дозв. ценсурою Кутаисъ, 14 Августа 1884 г.
რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.
Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.
მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა დ ფერაძისა.